# ალექსანდრე ულიანინსკი

## ცხრაას ხუთში

დრამა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ეგნატე. ორთქლმავლის ზეინკალი, რაზმელი.
ფროლოვი. დურგალი, მამამისი.
დევიცკი. სარკინიგზო სასწავლებლის უფროსი.
ოდინცოვა. მისი და, მემამულე.
ნატუსია. გიმნაზიელი.
ანუშკა. შინამოსამსახურე.
სერაფიმა. ექთანი.
ზუბრიკი. პოლიციის აგენტი.

მოქმედება წარმოებს მოსკოვში, 1905 წლის 9 დეკემბერს.

---

* ნ. ს. კრუპსკაიას სახელობის საკავშირო ხალხური შემოქმედების სახლის მასალებიდან.

სასადილო ოთახი დევიცკის ბინაში, სარკინიგზო სასწავლებლის შენობაში. ფართო ოთახის კედლებზე საუცხოო შპალერია გაკრული. ოთახს ორი მძიმე, კაკლისფრად შეღებილი კარი აქვს: ერთი დერეფანში გადის, მეორე — გვერდზე ოთახში. მაღალ მომრგვალებულ ფანჯარაზე ფარდა გადაწეულია. ოთახის კუთხეში დგას გაკრიალებული სპილენძის სახურავებიანი ვეება ღუმელი, მძიმე, უშუშო ბუფეტი. კედლებზე ჰკიდია საათი, გრავიურები, ფაიფურის თეფშები. ოთახის შუაგულში დგას მაუდგადაფარებული მაგიდა. მაგიდის ირგვლივ — ვენური, მაღალი სკამები. მაგიდის მაღლა ჰკიდია ნათურა. წინათ ეს ნავთის ლამფა იყო, ახლა ელექტრონისთვის არის გადაკეთებული. ოთახს ოდნავ ანათებს მაგიდაზე მძიმე შანდალებში ჩადგმული ორი სანთელი. სანთლების ენები თამაშობს და კედლებზე უცნაური ჩრდილები ირევა. ფანჯრიდან მოჩანს დათოვლილი მოსკოვი. მთვარიანი საღამოა. ფანჯარასთან დგას ნატუსია, გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოსწავლე, ყავისფერი ფორმის კაბა და მაღალყელიანი ღილებიანი ფეხსაცმელი აცვია. კოხტად დაწნულ თმაზე დიდი შავი ბაფთა აქვს გადაჭერილი. იგი ყურადღებით იცქირება ფანჯარაში.

ნატუსიას უკან ანუშკა დგას, ოციოდე წლის ქალიშვილი. ლურჯ ჩითის კაბაზე თეთრი მიტკლის წინსაფარი უკეთია. ფეხზე რეზინისძირიანი ბაშმაკები აცვია.

ნატუსია. უყურე, უყურე, ანუშკა, უბნის ზედამხედველი სადარაჯოდან ხსნის პოლიციელს. თანაც, არც ერთი ფარანი არ ანთია... კიდევ კარგი, რომ მთვარე ანათებს...

ანუშკა. როგორ მეშინია, ღმერთო, როგორ მეშინია! ნეტა ბატონი სადგურზე მაინც არ წასულიყო! აქვე კია, მაგრამ...

ნატუსია. შენ რომ გამოეძახე უფროსს?

ანუშკა (ისევ ფანჯარაში იყურება). ხალხიც რომ არ არის... ამბობენ გუშინ სტრასტნოიზე ხალხს კაზაკები მიუსიესო. ოფიცერმა თურმე განკარგულება გასცა „დაიშალეთო!“ და ის იყო კინაღამ დაიძრა ხალხი, მაგრამ ერთი ახალგაზრდა ადგილიდან არ დაძრულა, მესროლეთო, უთქვამს, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარო. ჰოდა, კაზაკები გაბრუნებულან!



ნატუსია. ბიჭიც ეგა ყოფილა! არა? ეგეთი რომ ვყოფილიყავი! (ტელეფონი რეკავს მიდის ტელეფონთან, რომელიც ბუფეტის უკან ჰკიდია და არ ჩანს, ყურმილში) გისმენთ... დიახ, დიახ. სარკინიგზო სასწავლებელია. უფროს დევიცკის ბინა. ევგენი პავლეს ძე არ გახლავთ. თქვენთან წამოვიდა... აი, ეს წუთია. (სდებს ყურმილს და ფანჯარასთან ბრუნდება).

ანუშკა (ნათურას შეხედავს). სინათლე მაინც მოგვცენ. სულ მარტო ვართ მთელ ბინაში.

ნატუსია (ისევ ფანჯარაში იყურება). თევდორე დაგავიწყდა?

ანუშკა. ნათლიდედას ისევ კბილი სტკიოდა და ეგ ულოცავდა. მაგრამ ახლა თვითონ გადაედო, სულ კბილი სტკივა. ჰოდა, აიღო და არაყი გადაჰკრა გასაყუჩებლად, მაგრამ ეტყობა მეტი მოუვიდა.

ნატუსია. საშინელი მეკარეა! უყურე, უყურე, ვიღაცებმა კონკა გააჩერეს, ცხენებს უშვებენ.

ანუშკა. თვალები დამბრმავებოდეს და ამას არა ვხედავდე ნეტავ!

ნატუსია. ეჰ, რანაირი ხარ! ყველაფრისა გეშინია! იცი როგორი უნდა იყო? როგორც გრიგალა. ძლიერი და გულადი! გაგიგონია? „დე, შეუპოვრად დაჰკრას გრიგალმა — მახარობელმა ქარიშხალისა!“ (კითხულობს).

„ქაფმორეულსა ზღვის ზედაპირზე მძლავრად დაჰბერა
ქარმა — გრიგალმა
ცა მიიქმუხნა, მოსკდა ღრუბელი, ჩამოაბნელა მთლად
არემარე.
ცის და ზღვის შუა, ვითარცა ელვა, ლაღად უშიშრად
დაჰქრის, ნავარდობს.
ქარიშხალისა მახარ.ობელი — მარდი გრიგალა.
ხან ფრთით ეხება.
იგი ზღვის ტალღას, ხან ისარივით ის ავარდება.
მაღლა ღრუბლებში.
მამაცად ყივის და ამ ყივილში ღრუბლებს მოესმა
ხმა სიხარულის,
ხმა იმედისა მომავლისადმი!..

ანუშკა. თქვენ რა გიჭირთ — ხელს არავინ გახლებთ. იმას კი... (თავს იკავებს).

ნატუსია. ვისზე ამბობ? ეგნატეზე? (დაჟინებით უყურებს ანუშკას).

ანუშკა (გატრიალდება). რას ბრძანებთ, ქალბატონო? რატომ გგონიათ, რომ მაინცა და მაინც იმაზე?

(ისმის შორეული კაკუნი კარზე. ორივე დაძაბული უსმენს.)

ნატუსია. სამზარეულში აკაკუნებენ.

ანუშკა. ეხლავე გავაღებ (წასვლა უნდა).

ნატუსია (აჩერებს). არა, არა! მე თვითონ წავალ! ვინ იცის, იქნებ სწორედ ის არის? (გარბის.)

ანუშკა. არა, ისარ არის! ეს იმისი კაკუნი არ არის. (მიდის კარებისაკენ. გამოჩნდება ნატუსია.)

ნატუსია (ვიღაცას ეუბნება კარებში, რომელიც ჯერ არ ჩანს). ეგნატე ჯერ არ მოსულა და საერთოდაც არავინ გახლავთ... შემოდით, შემოდით, რისი გეშინიათ?

(შემოდის ფროლოვი. მთლად გადათეთრებული და ჭაღარა ულვაშებიანი ხნიერი კაცი. მოკლე ქურთუკი და თექის ჩექმები აცვია. თბილი ქუდი ახურავს. ხელში ქაღალდში გახვეული რამდენიმე ბოთლი და პატარა ბოხჩა უჭირავს).

ფროლოვი (გაუბედავად გამოაბიჯებს ზღურბლს). სამზარეულოში შევსულიყავით.

ნატუსია. სამზარეულოში მარტო კანდელი ანთია. სანთელს ვზოგავთ.

ანუშკა. სერგეი პეტრეს ძევ, თქვენა ხართ.

ფროლოვი (ესალმება). სალამი, ანიუტა!

(ნატუსია გაკვირვებული უყურებს მათ.)

ანუშკა. ქალბატონო, ეს ეგნატეს მამაა.

ნატუსია (ფროლოვს). აი თურმე ვინ ყოფილხართ!

ფროლოვი. დიახ, მამასახლისი გახლავართ.

ნატუსია. მოხარული ვარ... მე ნატუსია ვარ, ევგენი პავლეს ძ[illegible]ს ძმისშვილი.

ანუშკა. შვილობილია. ობოლია ჩემსავით.

ნატუსია. ეს რა საჭიროა, ანუშკა?.. დააწყეთ ბარგი.

ფროლოვი. არ ვიცი, ღმერთმანი...

ნატუსია. დააწყეთ, რომ გეუბნებით!

ფროლოვი (კვლავ მერყეობს). კარგი .. ჭურჭელი... მთავარია, ჭურჭელი არ დაიმტვრეს...

ნატუსია. ჰოდა, დააწყეთ.

ფროლოვი (ბოჩხას სკამზე სდებს, ბოთლებს — ბუფეტზე). მაპატიეთ, რომ შემოგეჭერით. ეგნატეს ბრალია. მითხრა, უსათუოდ ვიქნებით, თვითონ კი... (განაწყენებული) ეშმაკმა იცის... გაქრება ხოლმე! (ქუდს იხდის და გაყინულ ხელებს იფშვნეტს.) — საშინელი ქარია, ჰყინავს. (შეხედავს ბუფეტის კარს) მშვენიერი ლირსია! (ხელს შეავლებს) ლამაზი ნამუშევარია!



ნატუსია. დურგალი ხართ?

ფროლოვი. დურგალი გახლავართ. ჩემი ვაჟი ორთქლმავლების შემკეთებელ სახელოსნოში მუშაობს, მე კი — ვაგონშემკეთებელში. ხის ნაწილებზე ვმუშაობ.

ნატუსია (ბოთლს ქაღალდს შემოაცლის, ეტიკეტებს დახედავს). იოდი... სულემა... კარბოლის სიმჟავე... (ჩახედავს ბოხჩას). მარლა და ბამბა... რისთვის გინდა? (ბოთლებს ქაღალდს გადააფარებს.)

ფროლოვი (იბნევა). ისე.. ყოველ შემთხვევისათვის...

ნატუსია (ცოცხლად). თუ რამე მოხდა, არა? გარეთ, ქუჩაში!

ანუშკა (სასოწარკვეთით). რა ყვავილით დაგვჩხავით! ღმერთო ჩემო! (მიდის).

ნატუსია. მაინც აქ რატომ მოიტანეთ ეს ყველაფერი?

ფროლოვი (აშკარად დაბნეულია, არ იცის რა თქვას). აი... ეგნატე მოვა... და... ის გეტყვით.

ნატუსია (უცებ მიხვდება). ა! თქვენ გინდათ აქ, სასწავლებელში ლაზარეთი გახსნათ, არა? ჩუმათ, ჩუმათ, იყავით! მე ყველაფერი მესმის! რა შესანიშნავია! კლასები ფართო, მოხერხებული!.. თქვენ ნუ გეშინიათ! მე და ეგნატე მეგობრები ვართ. უკვე რა ხანია მიცნობს. რაც იქ სწავლობდა, მაღლა (მაღლა იშვერს ხელს). ახლაც ვნახულობთ ერთმანეთს, როცა ანუშკასთან მოდის.

ფროლოვი (ჯერ კიდევ გაუბედავად) არ ვიცოდი...

ნატუსია. ექიმი თუ გყავთ?

ფროლოვი (უფრო გაბედულად). როგორ გითხრათ? ერთი ქალი მოვიწვიეთ ექთნად მუშაობს ჩვენს სახელოსნოში. რასაკვირველია, ექიმი არ არის, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო. (კარები იღება. შემოდიან ანუშკა და სერაფიმა — 35 წლის ქალი, რომელსაც აცვია ძველი, მაგრამ სუფთად დაკერებული ცხვრის ბეწვით გაწყობილი პალტო, ახურავს ბეწვის ქუდი, ფეხზე დაბალყელიანი ფეხსაცმელი აცვია. საყელო აწეული აქვს, რის გამოც სახე თითქმის არ უჩანს, მხოლოდ ცხვირი აქვს გამოყოფილი და ზედ უბრალო ლითონის პენსნე უბრწყინავს.)

სერაფიმა (შემოსვლისას, ანუშკას). იცოდე, სამზარეულოში ახალი კალოშები დავტოვე (სათვალის შუშებქვეშ ცერებს შეჰყოფს და სათვალის მოუხსნელად სწმენდს მას.) — მე მითხრეს, რომ... (სათვალეს შეისწორებს და ფროლოვს დაინახავს) შენ? არაფერი არ მესმის?

ფროლოვი (ნატუსიას). აი ექთანიც, სერაფიმა ივანეს ასული პუსტოცვეტი.

სერაფიმა. შენთვის მგონი არავის დაუვალებია გამოაცხადო ვინა ვარ! (ისმის შორეული კაკუნი, ეტყობა ისევ სამზარეულოდან.)

ნატუსია. ეხლა კი ეგნატეა! (გარბის ანუშკა აჩქარებით გაჰყვება უკან.)

სერაფიმა. (საყელოს ჩამოიწევს, ყურებიდან ბამბას გამოიღებს და ოთახს შეათვალიერებს) არაფერი მესმის. ვის ვჭირდები აქ?

ფროლოვი. საგაფიცვო კომიტეტმა გამოგიძახათ.

სერაფიმა. კი მაგრამ, ხომ იციან ჩემი პოზიცია?

ფროლოვი. ასე თქვეს... რომ თქვენ მაინც ვალდებული ხართ, როგორც სოციალ-დემოკრატი...

სერაფიმა. შენ ჩვენი პარტიის წევრი არა ხარ და სხვის საქმეში ნუ ეჩრები.

ფროლოვი. (ფიცხად). როგორ თუ სხვისი საქმე, როცა ცეცხლი, აი, აქ მეკიდება! (გულზე ხელს იბაგუნებს.)

სერაფიმა. ყველა „ცეცხლმოდებულს“ სველი საფენი გჭირდებათ შუბლზე. იქნებ ცოტა განელდეთ! (გესლიანად) თუ შენც რაზმელებში ჩაეწერე, როგორც შენი ეგნატე!

ფროლოვი. ძალიანაც მინდა, მაგრამ ვაი რომ ხელ-ფეხი შებორკილი მაქვს. უეგნატოდაც ხუთნი ვართ — ცოლი და სამი გოგო...

სერაფიმა. ჰოდა, ყველას დაღუპავ.

ფროლოვი. ეჰ, რა ბოროტი ხარ! თუმცა გასაგებია. ამ ხნისა ხარ და გაუთხოვარი...

სერაფიმა. ეგ შენი საქმე არ არის! (სწრაფად შემოდიან ნატუსია და ეგნატე, ახალგაზრდა 22 წლის მუშა. შავი ფაფახი ახურავს. დაბამბულ ქურთუკზე ტყავის ქამარი აქვს შემოჭერილი. შარვალი ჩექმებში აქვს ჩატანებული. ყელზე შემოხვეული აქვს გრძელი, ნაქსოვი შარფი.)

ეგნატე (ქუდს იხდის და დაწყებულ ლაპარაკს განაგრძობს). ევგენი პავლეს ძე რომ არ არის, ეს ცუდია... გამარჯობა, სერაფიმა. წავიდეთ აქედან, ამხანაგებო.

ნატუსია. არა, რას ბრძანებთ, რატომ?



ეგნატე. იქ დაველოდებით, სამზარეულოში.

ნატუსია (დაჟინებით). არ გაგიშვებთ (კარებში ჩადგება) თქვენ ჩემი სტუმრები ხართ!

ეგნატე (მივა მასთან). იქნებ მაინც გაგვეშვით...

ნატუსია. არა, არაფრის გულისათვის!

ეგნატე. კარგი... როგორც გინდათ.

ნატუსია. მაშ დასხედით!

ეგნატე. გმადლობთ. ოღონდ დრო არა გვაქვს... და თუ დღეს თქვენ დიასახლისობთ, გთხოვდით... გაეცით განკარგულება საკლასო ოთახების გასაღებები მზად იყოს. შეიძლება?

ნატუსია. თევდორესთან ჩავალ. მხოლოდ თქვენ არ წახვიდეთ (გარბის).

ეგნატე (უკმაყოფილოდ მიმოიხედავს. მამას). მაინც რა ეშმაკმა შემოგიყვანა სასადილო ოთახში!

ფროლოვი. შენც ნუ დაიგვიანებდი!

ეგნატე (ბუფეტზე მდგარ ბოთლებზე გადაფარებულ ქაღალდს გადასწევს). მოიტანე?

სერაფიმა. მგონი ნელ-ნელა ვხვდები რა ამბავიც არის.

ეგნატე. ჰოდა, ძალიან კარგი! იმოქმედე! ასეთი პერსონალი, შენ რომ ხარ, ცოტა გვყავს. სწორედ ამიტომ დაგვჭირდი მაინც და მაინც შენ!

სერაფიმა. მაგრამ ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ეგნატე. ხალხი საბრძოლველად მიდის და შენ კი პრინციპზე ლაპარაკობ!

სერაფიმა. ასჯერ მითქვამს: სოციალიზმისათვის ჯერ არა ვართ-მეთქი მომზადებული. ჩვენ სათათბიროს შეგვპირდნენ. ჩვენი გზა ეს არის.

ეგნატე. მოეშვი ამ უბედურებას, სერაფიმა! თუ ისევ გეშინია მეფე-ბატონს არ აწყენინო? გახსოვდეს: დღეს 9 იანვარი კი არ არის, 9 დეკემბერია! იყო დრო წყალობას შევთხოვდით, ეხლა უნდა მოვითხოვოთ!

სერაფიმა. (ნერვიულობს, ცხვირზე სათვალეს ისწორებს). გინდათ ყველა ლიბერალები დააფრთხოთ?

ეგნატე. შენ რაღა გინდა? რაც შეიძლება მაღლა აიყვანო ისინი? ინებეთ, შეგვადექით მხრებზე, სწყვიტეთ ჩვენს ხარჯზე ნაყოფი! არა, ჩვენ თვითონ გავუძღვებით ხალხს!

სერაფიმა. შეხედე რასა სწერს ამაზე...

ეგნატე. (შეაწყვეტინებს). უკეთესია ქუჩაში გაიხედე! მომწიფდა. დაწყების დროა!

სერაფიმა. ვინ დაიწყოს? რამდენი ხართ?

ეგნატე. საქმე რიცხვი ხომ არ არის, გაბოროტებაშია. მით უმეტეს გლეხიც ჩვენთან არის, ჩვენი ძმა და მეგობარია.

სერაფიმა. ჯარისკაცები?

ეგნატე (აფეთქდება). მერე ეგ ხომ თქვენი ბრალია, მენშევიკებისა; თქვენი და ესერების, ესერებმა ადრე აამხედრეს „როსტოველები“, თქვენ კი მერე, დრო რომ დადგა, ხელი შეგვიშალეთ ჯარისკაცებისათვის მხარი დაგვეჭირა.

სერაფიმა. ასეთ საქმეში ყველაფერი უნდა ასწონ-დასწონო.

ეგნატე. მეაფთიაქეები ხართ, სხვა არაფერი!

სერაფიმა. ჰოდა, მშვიდობით იყავით! (წასასვლელად გაბრუნდება).

ეგნატე. (გზას გადაუღობავს) შენ რა, არ გინდა დაგვეხმარო?

სერაფიმა. დიახ, არ მინდა! პრინციპულად!

ეგნატე. (უცბად პალტოს საყელოში ჩაავლებს ხელს სერაფიმას) შენ რაო?!.

ფროლოვი. იგნატ!

(ეგნატე ხელს უშვებს სერაფიმას, სერაფიმა პალტოს ისწორებს და ცხვირიდან ჩამოვარდნილ ზონარზე დაკიდებულ პენსნეს იმაგრებს).

ეგნატე (სერაფიმას). ახლა მისმინეთ, მე მინახავს ყურებში რომ ბამბას იცობთ ხოლმე, ქარმა რომ არ დაგკრათ. ეგ, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ სინდისი როგორღა გაქვთ? ქარმა ხომ არ დაჰკრა და გააფრიალა?

სერაფიმა. ვალდებული არა ვარ დავრჩე! (მიდის)

ფროლოვი. (ხელებსა შლის.) ტუტუცი!

(პატარა პაუზა.)

შენც კარგი შვილი ხარ! მამლაყინწა! ნეტა რას ეტყვი ეხლა შენს უფროსს—დავიდოვს? ექთანი სად არისო?

ეგნატე. რასაც ვფიქრობდი, ის მივახალე, ეგ არის და ეგ. მაგას კი ეტყობა ემწვავა (ხელს ჩაიქნევს.) კარებთან დადექი, ჩექმას გავიხდი. ლურსმანი ამომივიდა (ჯდება და ჩექმას იხდის.)

ფროლოვი. (შეხედავს ეგნატეს ფეხსახვევშემოხვეულ ფეხს) შეხედე, სისხლი! რატომ აქამდე არაფერი სთქვი?



ეგნატე (გადაგდებს ლურსმანს ჩექმის შიგნით). პაპიროსი არა გაქვს?

ფროლოვი. როგორ არა. (იღებს პაპიროსს) „დადექ, წაიკითხე და გაიკვირვე: პაპიროსი „ტრეზვონი“, ოცი ცალი—6 კაპიკად.“

ეგნატე (ჩექმას იცვამს). რა კარგი ხასიათი გაქვს, მამაჩემო.

ფროლოვი. რაც ხელობაა, ისიც ხასიათი. (ორივე სანთელზე უკიდებს პაპიროსს.) სამუშაო მასალა, ჩემი აზრით, ძალიან მოქმედებს ადამიანის სულზე. მაგალითად, რკინა აციებს, ხე კი ათბობს.

ეგნატე (ფიქრში წასული). ვის დავუძახოთ ახლა სერაფიმას მაგიერ? ერთი სტუდენტი მყავს... აქვე ახლოს ცხოვრობს... ანდა უკეთესია, რომ... (ჩაფიქრდება).

ფროლოვი. თუ ახლოა ის შენი სტუდენტი, წადი! ყველას რომ სდიო,—ფეხები აღარ მოგყვება.

(სწრაფად შემოდის ნატუსია)

ნატუსია. ძლივს გამოვაფხიზლე თედორე—მთვრალია. მაგრამ გასაღებები არა აქვს. მეუბნება თვითონ ბიძიამ დაკეტა საკლასო ოთახებიო. მთელი კაბინეტი გადავქექე, მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახე.

ეგნატე. რას ვიზამთ, ევგენი პავლეს ძეს უნდა დაველოდოთ.. შეგიძლიათ მანამდე ყველაფერი ეს დამალოთ? მხოლოდ ისე, რომ არავინ იცოდეს. სრულიად არავინ!

ნატუსია. რა თქმა უნდა, შემიძლია! (მიაქვს ფროლოვის მოტანილი) ეს კარი გამიღეთ!

(ეგნატე აღებს კარს, რომელიც გვერდზე ოთახში გადის. ბოთლებითა და ბოხჩით დატვირთული ნატუსია გადის.)

ეგნატე. ვგონებ, არ შევცდით. შესაფერისი ადგილი ამოვარჩიეთ. ხედავ როგორ მიგვიღეს? დევიცკიც, მგონია, რომ არ იქნება წინააღმდეგი, ამ ცოტა ხნის წინათ ვნახე და ვიგრძენი, რომ გაფიცვის მომხრეა. ხელს არ შეგვიშლის. უკიდურეს შემთხვევაში, მთელ სახლს დავიჭერთ. უფროსისა და მეკარის მეტი ხომ არავინ არის. ისე რომ... მოახსენე დავიდოვს და თუ თანახმაა, საკაცეები წამოიღეთ და ოთხივე აქ გაჩნდით. შეშებს უკან, სამზარეულოს შესასვლელთან შეგხვდებით.

ფროლოვი. კარგი! (ქუდს იხურავს და გადის. შემოდის ნატუსია).

ნატუსია. დავმალე ჩემს ოთახში. აქ, გვერდზე გასასვლელი ოთახია, მის იქით კი—ჩემი.

ეგნატე. ნატალია ვლადიმერის ასულო, ევგენი პავლესძესაც არაფერი უთხრათ, კარგი?

ნატუსია. როგორ? არც ბიძას?

ეგნატე. ჰო, ვიდრე მე არ დავბრუნდები.

ნატუსია. კი მაგრამ, თქვენ ხომ მისი მოწაფე იყავით და კარგად იცნობთ.

ეგნატე. სწორედ ამიტომ მოვედით აქ. და მაინც...

ნატუსია (წყენით). როცა ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვი გვეპარება ადამიანში, იგნატ, ფაქტიურად მას შეურაცხყოფას ვაყენებთ!

ეგნატე. თქვენ ნუ გწყინთ. შეიძლება ტყუილად ვამბობდე... მაგრამ, დამიჯერეთ—ახლა ასეა საჭირო. პირდაპირ მითხარით: არაფერს ეტყვით?

ნატუსია (დიდის ამბით). ვფიცავ!

ეგნატე. აი ასე! (ხელებს მოუჭერს.)

ნატუსია (არ გაუშვებს ეგნატეს ხელს). ეგნატე! თქვენ... გრიგალა ხართ!

ეგნატე (ჩაეცინება). ო, არა! (ამოიოხრებს, სერიოზულად) ჯერჯერობით მამლაყინწა ვარ!

ნატუსია. არა! თქვენ გმირი ხართ! თქვენ ისეთი ხართ... ეგნატე, ისეთი... (სახეზე მოიფარებს ხელებს) ნუ მისმენთ, ნუ, ნუ, (მეზობელ ოთახში გაიქცევა და კარებს მიაჯახუნებს).

ეგნატე (თვალს გააყოლებს). რა დაემართა?

(შემოდის ანუშკა)

ანუშკა (დაინახა, რომ ეგნატე მარტოა). იგნაშა! ძვირფასო! (მასთან მიირბენს) მეშინია რამე არ დაგვემართოს. მეშინია (მკერდზე მიეკვრება) მოეშვი მაგ ამბავს!

ეგნატე. სულელო... განა შემიძლია?

ანუშკა. ვიცი შენ ქალაქელი ხარ, ნასწავლი, ყველაფერი გესმის... მე კი სოფლელი ვარ, შეიძლება ვერ ვერკვევი... მაგრამ, შენ რატომ უნდა იტანჯო სხვისი გულისათვის?

ეგნატე. აი როგორები ხართ, მიწას მიჯაჭვულები. მარტო საკუთარ ტყავზე ფიქრობთ. მაგრამ ჩვენ ხომ ყველას ერთი ბედი გვაქვს. შეხედე, როგორ არის მოწყობილი ცხოვრება. ზოგს თვალ



მარგალიტი, ზოგს შავი ქვა და ცხელი ნაცარი... მეფე უნდა გადმოვაგდოთ, ანიუტა, და მიწა ხალხს მივცეთ!

ანუშკა. დაგიჭერენ, იგნაშა! დაგიჭერენ! (ჩუმათ) და ვინ იცის... იქნებ... მოგკლან კიდეც...

ეგნატე. იცი, ანიუტა, სიკვდილიც კარგია, თუ ახალ ცხოვრებას აძლევს დასაბამს. მაგრამ მე სიცოცხლე მინდა და ვიცოცხლებ კიდეც (ორივე ხელით იჭერს ანუშკას თავს) და კიდევ, ბედნიერება მინდა, ანიუტა! ბედნიერება კიდევ უფრო აძლიერებს ადამიანს! (ჰკოცნის ანუშკას) წამო! წავიდეთ! მალე დავბრუნდები (ფაფახს იღებს.)

(გადიან. შემოდის ნატუსია)

ნატუსია (ნელა მივა მაგიდასთან და დიდხანს დგას ასე თავჩაქინდრული). რა ტუტუცი ვარ. . ო, რა ტუტუცი!..

(შემოსასვლელში ზარი წკრიალებს. თავს ასწევს და ყურს მიუგდებს)

ბიძაა...

(შემოდის ევგენი პავლეს ძე დევიცკი, 40 წლის კაცი. კოხტად შეჭრილი წვერ-ულვაში აქვს. თმები უკან აქვს გადავარცხნილი აცვია შავი ფორმის ტანისამოსი.)

დევიცკი. რა უმსგავსობაა, რა საზიზღრობაა! რეპრესიებით მემუქრებოდა, მოხსნითაც კი. რა თვითნებობაა!

ნატუსია (სკამზე ჩამოჯდება). მადლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი.

დევიცკი (ღუმელთან მივა და გაყინულ ხელებს ითბობს). თურმე საშინლად ლმობიერი, ლიბერალი და სხვა ასეთები ვყოფილვარ. უფრო მეტიც—თითქმის არასაიმედო! იმიტომ რომ, ცოტად თუ ბევრად, ვამართლებ გაფიცვას! მაგრამ მაშინ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რისთვის გამოიცა 17 ოქტომბრის მანიფესტი.

ნატუსია (ყურს არ უგდებს, ერთ წერტილს მიშტერებულია.) ქვეყანა რეფორმებს ელოდება, მთავრობა კი აჭიანურებს. გაიფიცება ხალხი, აბა რას იზამს. და ეს, ბოლოს და ბოლოს, ექსპლოატატორებთან ბრძოლის სრულიად ნორმალური და კანონიერი საშუალებაა. (შემოსასვლელში ისმის ზარის ხშირი რეკვა.) რა ამბავია? (ყვირის) ანუშკა! ანუშკა, არავინ შემოუშვათ! (აჩქარებით გადის შემოსასვლელში).

ნატუსია (კვლავ ერთ წერტილს მიშტერებული). „დასცინის ღრუბლებს, ხოლო ცრემლს აფრქვევს სიხარულისაგან!“ (ტირის)

(კარებში დევიცკი გზას უთმობს ოდინცოვას—50 წელს გადაცილებულ ქალს. მას მუქი ფერის საგზაო კაბა აცვია. ნატუსია წამოხტება და ჩუმათ იწმენდს თვალებს.)

ოდინცოვა (შემოდის). შენი და არ გინდოდა შემოგეშვა!

დევიცკი. რას ამბობ, ნადია! (კარებში) ანუშკა, ბარგი გაიტანე!

ოდინცოვა (ნატუსია მიუახლოვდება). რაო, იცრემლებოდი?

ნატუსია (გულცივად მიესალმება). არც მიფიქრია.

ოდინცოვა (უცერემონიოდ შეათვალიერებს ნატუსიას თავიდან ფეხებამდე და მზერას მის სახეზე შეაჩერებს) დროა ქორწილი მოიცილო, შენს ასაკში სირცხვილია! იყიდე ექიმ ობერმეიერის საპონი „ხერბა", ოღონდ ისეთი, მოწყალების და რომ ახატია, თორემ შეიძლება სხვას გადაეყარო რასმე. (ჯდება)

ანუშკა (შემოსასვლელიდან ოდინცოვას კალათს, ჩემოდანსა და ქალის ჩანთას გამოატარებს). წარმოგიდგენია? ჩვენი მატარებელი უკანასკნელი იყო... როგორ დავიღალე! სოფელში რა საშინელება ხდება, რომ იცოდე. გლეხები ჭკუიდან შეიშალნენ: კომიტეტებს ქმნიან, მიწებს იტაცებენ, მამულებს ცეცხლს უკიდებენ. კინაღამ მეც არ მომიცვივდნენ! სხვა გზა არ იყო—გამოვიქეცი.

დევიცკი. ეს ყველაფერი იმის ბრალია, ნადია, რომ გლეხებს ანგარიშს არ უწევთ!

ოდინცოვა. ო, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! (ანუშკა მეზობელ ოთახიდან შემოსასვლელისაკენ ბრუნდება.) იცი ჩემთან, მუხანოვკაში, ვინ ააფორიაქა გლეხები? სტეპან ბორისკინმა! (ანუშკა შეჩერდება და უყურებს ოდინცოვას ანუშკას). ჰო, გაიხარე! შენმა ძმამ! (დევიცკის) მაგრამ, მადლობა ღმერთს, მოვასწარი ურიადნიკს შევატყობინე და ის არამზადა შეიპყრეს.

ანუშკა (ხელებს შემოიკრავს). სტიოპა? (ატირდება, წინსაფარს მიიფარებს სახეზე და გადის.)

ნატუსია (სიძულვილით ოდინცოვას). თქვენ, თქვენ... თქვენ მხეცი ხართ!

ოდინცოვა. ნატალია!

ნატუსია. დიახ, დიახ, მხეცი ხართ! ქმარიც კი მოინელეთ! ჭლექი გაუჩინეთ! (გარბის ანუშკას ფეხდაფეხ).

ოდინცოვა (დგება). ეს რა ამბავია?

დევიცკი. ჩუმათ, ნადია, დამშვიდდი. ნატუსიას, რა თქმა



უნდა, ვუსაყვედურებ, მაგრამ ანუშკასთან მაინც რატომ სთქვი? ეს ხომ უტაქტობაა.

ოდინცოვა. კარგის მეტი რა გამიკეთებია სტეპანისათვის. ნატალია აქ მოვუწყე, ის კი... (ჯდება) არა. არც ერთ კულტურულ ქვეყანაში არ შეიძლება ის მოხდეს, რაც ჩვენთან ხდება. სადგურიდან ქუჩაში გასვლაც კი საშიშია! კიდევ მადლობა ჟანდარმერიის როტმისტრს, შენი პატივისცემით კაცი გამომაყოლა. ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, დიდი ხანია, რაც თქვენთან ის არეულობაა?

დევიცკი. მესამე დღეა. 7-ში საყვირი მისცეს... და ყველაფერი შეჩერდა. თეატრებიც კი აღარ მუშაობენ. აი... (ჟილეტის ჯიბიდან პატარა ქაღალდს იღებს და მაგიდაზე სდებს) ბილეთი მქონდა არმატოვის მიმოხილვაზე „ომონში" და გაუქმდა... (უჩვენებს სანათურზე) ხომ ხედავ, სინათლეც კი არ გვაქვს. მხოლოდ წყალსადენი, ტელეფონი, და ერთადერთი რკინიგზა, ნიკოლოზის სახელობის რკინიგზა მუშაობს!

ოდინცოვა. რა საშინელებაა!

დევიცკი. რას იზამ, ნადია, ისტორიის სარბიელზე გამოდის დემოკრატიული რუსეთი, და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ.

ოდინცოვა. ჩემი აზრით, ეს არამზადები უნდა ჩამოახრჩოს კაცმა!

დევიცკი. შენ მეტისმეტად ფიცხი და კონსერვატიული ხარ. ასე არ შეიძლება. პროგრესი აუცილებელია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მე ანარქიის წინააღმდეგი ვარ, და ჩვენ, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, არ დავუშვებთ იმას, რომ გაფიცვა აჯანყებად გადაიზარდოს.

(გარედან მოისმის შორეული სროლის ხმა. ორივე ყურს ცქვეტს. შემორბის ნატუსია.)

ნატუსია. დაიწყო!

(კიდევ ორი გასროლა. დევიცკი და ნატუსია ფანჯარას ეცემიან, გარეთ იყურებიან.)

ოდინცოვა. არამზადები! (გულზე ხელს იტაცებს) სად არის ჩემი ჩანთა? ასე შეიძლება გაგიჟდეს კაცი... (დგება და სწრაფად გადის მეზობელ ოთახში).

(ისევ რამდენიმე უწესრიგო სროლა)

ნატუსია (ანთებული). ბიძია, დაიწყო!

დევიცკი. ეს იქ, მოსახვევში ხდება. მოეცალე ფანჯარას. მოეცალე-მეთქი! (ეხვევა ნატუსიას.)

ნატუსია. რა კარგია, ბიძია!

დევიცკი. სისულელეებს ნუ როშავ. არაფერი არ გეს-მის. (სროლა წყდება. შემოდის ოდინცოვა. ხელში ბოთლები და ბამბა უჭირავს.)

ოდინცოვა. საინტერესოა, ეს რა არის?

ნატუსია (ხელს ჯიბეზე წაივლებს) ოჰ! (ჩუმად) ნუთუ არ და-მიკეტია?

ოდინცოვა (დევიცკის). ოთახში მთელი აფთიაქი რომ ჰქონია, იცი?

დევიცკი (გაკვირვებული შესცქერის ნატუსიას. ნატუსია თავს ჩა-ღუნავს.) ნატუსია? მე ვფიქრობ, ამას პირდაპირი კავშირი აქვს იმასთან, რაც ახლა ქუჩაში ხდება (ფანჯარაზე უთითებს). ნადია, მარტო დაგვტოვე.

ოდინცოვა. სიამოვნებით, მაგრამ აბა შენ იცი, ევგენი (გადის და თან ბოთლი და ბამბა გააქვს).

ნატუსია (თავს მაღლა ასწევს). ნურაფერს მკითხავ, ბიძია. სიტყვა მაქვს მიცემული, არაფერი ვთქვა.

დევიცკი. მე კი ასე მგონია, იმის ღირსი უნდა გამხადო, რომ ყველაფერი მითხრა. ყველაფერი! მაგრამ, შენ იცი... მე უკვე მივხვდი, რაც ხდება. იტყობა აქ ლაზარეთის მოწყობა განუზრა-ხავთ... ნუ უარყოფ, ეს სრულიად ამკარაა. მაგრამ მე ამის ნებას არავის მივცემ!

ნატუსია (უკიდურესად გაკვირვებული). შენ, ბიძია? შენა?

დევიცკი. მე არ შემიძლია ამის ნება მოგცეთ! და არც მოგცემთ!

ნატუსია (მთლად დაბნეული). კი მაგრამ, შენ ხომ... შენ ხომ ყოველთვის ხალხის მხარეზე იყავი?

დევიცკი. არც ერთი ჩვენგანი არ უნდა მიეხმაროს მეამ-ბოხეებს!

ნატუსია. ისინი გმირები არიან!

დევიცკი (ცხარედ.ბა). ისინი მეამბოხეები და ბარბაროსები არიან!

ნატუსია (გამწარებული). ბიძია!..

დევიცკი. ახლავე უნდა მოვსპოთ ყველაფერი, რაც მაგათ მოგცეს!

ნატუსია (კარებს ეცემა). არ გაგიშვებ! არ გაგიშვებ? (სწრა-ფად აღებს კარს, გადის და მიიჯახუნებს)



დევიცკი (მიაყვირებს). დაბრუნდი! ნატუსია! (კარებისკენ გარბის და აღებს. ზღურბლზე ოდინცოვა დგას.)

ოდინცოვა. რა მოხდა?

დევიცკი. ჩაიკეტა?

ოდინცოვა. ჰო, გადარაზა.

(დევიცკი და ოდინცოვა მეზობელ ოთახში გადიან. ისმის კაკუნი კარზე და დევიცკის ხმა: „გააღე ნატუსია! გააღე!“ ხანმოკლე პაუზა, კვლავ კაკუნი).

დევიცკი (შემოდის). ხმას არ იღებს! დამაცადე! (კარებში ოდინცოვას) გარედან გადაუკეტე კარები!

(შემოდის ოდინცოვა).

ოდინცოვა. ორჯერ გადავაბრუნე გასაღები.

დევიცკი. ღმერთო ჩემო! ვაი თუ ვკარგავ ნატუსიას! საშინელებაა.

ოდინცოვა. ეს კი სულ შენი ახირებულობის ბრალია! „გინდა თუ არა, უნდა ჩემთან იცხოვროსო“. ხომ გეუბნებოდი — ინსტიტუტში მოაწყე-მეთქი.

დევიცკი. აჰ, ნადია, არ შეიძლება ასე ტლანქად ლაპა-რაკი ასეთ ფაქიზ საქმეზე.

ოდინცოვა. რომელ სიფაქიზეზე მელაპარაკები, მოახლი-საგან იყოლიე, სხვა ხომ არაფერი.

დევიცკი. თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, გთხოვ!

ოდინცოვა. ნეტა რა საჭიროა, რომ ყველაფერს უმალავ მაგ შენს ნატაშკას!

დევიცკი. შენ ცინიკოსი ხარ!

ოდინცოვა. მოიცა (ყურს მიუგდებს).

(წინა ოთახიდან მოისმის ეგნატეს ხმა: „ძალიან კარგია, რომ მოსულა. საკაცეები ჯერჯერობით თეოდორესთან გაიტანეთ. ანიუტა, შენც იქ წადი. მე კი ახლავე მოვალ. მხოლოდ შევუთანხმდები.

ოდინცოვა ტუჩებზე თითს მიიდებს. ხელით ანიშნებს, ვითომ აქ არა ვარო ფეხაკრეფით და აჩქარებით გადის მეზობელ ოთახში.

(შემოდის ეგნატე)

დევიცკი. ა-ა! შენა?

ეგნატე. გამარჯობათ, ევგენი პავლეს ძევ.

დევიცკი. იქნებ ქუდი მოგეხადა! ხატებია!

ეგნატე. მაპატიეთ, დამავიწყდა (ფაფახს იხდის) ნატალია ვლადიმერის ასული, და თქვენი და სად არიან?

დევიცკი. იცი, რომ დაც აქ არის? იქნებ იმათთან მოხვედი? მაშინ საწყენი უნდა გითხრა — ორივეს სძინავს, ისვენებენ.

ეგნატე. არა, ჩვენ თქვენთანა ვართ.

დევიცკი. ვინ „ჩვენ“?

ეგნატე. მუშები.

დევიცკი. მე მხოლოდ შენ გხედავ.

ეგნატე. მეკარის ოთახში კიდევ ოთხნი არიან. სხვები კი იქა... (ფანჯრისაკენ უთითებს. შორიდან მოისმის სროლის ხმა.) გესმით?

დევიცკი (აღშფოთებით). დიახ, მესმის! და... ვერ გამიგია!

ეგნატე (დაიძაბება). რა არის აქ გაუგებარი?

დევიცკი. ნუთუ არ გესმით, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ არავითარი გაფიცვები აღარ არის საჭირო?.. და, უკიდურეს შემთხვევაში, გაფიცვა მხოლოდ გაფიცვა უნდა იყოს.

ეგნატე. ჩვენთან კი, იცით, ევგენი პავლეს ძევ, ასე ამბობენ, ძალის გაფიცვა უნდა მოჰყვეს, გაფიცვას აჯანყება და აჯანყებას კი — გამარჯვებაო.

დევიცკი. მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა! სიგიჟე და ბარბაროსობა!

ეგნატე (ძლივს იმაგრებს თავს). რატომ არის ბარბაროსობა?

დევიცკი (ხმას აუწევს). იმიტომ, რომ თქვენ ძალა გინდათ გამოიყენოთ!

ეგნატე (მკვახედ). ამასწინათ მწერალმა გორკიმ ერთ-ერთ სტატიაში თქვა, თუ ადამიანს ურტყი, ბოლოს და ბოლოს ისიც გაგარტყამსო.

დევიცკი (ხმას დაუწევს). ეს შეიძლება სიცოცხლედ დაგიჯდეთ! სიცოცხლე კი ძვირფასია.

ეგნატე. სიცოცხლეზე უკეთესი, ევგენი პავლეს ძევ, ქვეყანაზე არაფერია. და სწორედ ამიტომ კარგი სიცოცხლე გვინდა გვქონდეს.

დევიცკი. ამაში იქნებ მართალიც იყო, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ მიიღებთ! სკამს გიდგამენ, თქვენ კი არ სჯერდებით, სავარძელს მოითხოვთ.

ეგნატე. შეიძლება სამეფო ტახტიც კი მოვითხოვოთ!

დევიცკი (გაღიზიანებული). ჰოდა, თუ ასეა, აიწყვიტეთ! მე ხელები დამიბანია!

ეგნატე. ჩვენ ასეც ვიცოდით, რომ არ დაგვეხმარებოდით, მაგრამ გვგონია — არც ხელს შეგვიშლით (შეხედავს თვალებში დევიც-



კის) ხომ მართალია?.. ჰოდა, გაგვიღეთ სასწავლებელი ლაზარეთისთვის და თავს დაგანებებთ.

დევიცკი (აღშფოთებით). არა, ბოდიში, გენაცვალე, ვინ არის აქ პატრონი, მე თუ თქვენ? ვის მოაფიქრდა ლაზარეთის მოწყობა მაინც და მაინც აქ?.. არა! არასგზით!

ეგნატე. ევგენი პავლეს ძევ!..

დევიცკი (უკმეხად). გადით აქედან!

(პაუზა. ორივე ერთმანეთს უყურებს.)

ეგნატე (მტკიცედ). გასაღებები მომეცით, ევგენი პავლეს ძევ.

დევიცკი. ფროლოვ!

ეგნატე. გესმით?

(პაუზა)

დევიცკი. ძალადობაა?!

ეგნატე. რევოლუცია თავაზიანად არავის მოუხდენია.

(ისევ პაუზა)

დევიცკი. კარგი! აიღე! (იღებს ჯიბიდან გასაღებებს და მაგიდაზე სდებს)

ეგნატე (უკან გაუწოდებს გასაღებებს). გთხოვთ ჩემთან ერთად წამობრძანდეთ, თქვენ უკეთ გაარჩიეთ რომელი რომლისაა და გაგვიღებთ.

დევიცკი (შეშფოთებული შეხედავს ეგნატეს). რას იზამ... ძალა ღმერთსა ხნავს!.. (იღებს გასაღებებს და სწრაფად გადის შემოსასვლელში. ეგნატე გაჰყვება. მეზობელი ოთახიდან ნელა იღება კარი, ფრთხილად შემოდის ოდინცოვა. ხელში ქალის ჩანთა უჭირავს.)

ოდინცოვა (პირჯვარს იწერს). არა, ეს არ მოხდება! (აჩქარებით მიდის ტელეფონთან, ცნობარს ფურცლავს, მერე ყურმილს იღებს.) — ქალიშვილო, 2[illegible]-07... დიახ... გმადლობთ... სადგურია? (პირზე ხელს მიიფარებს) ბატონო როტმისტრო? ისევ მე გახლავართ, ოდინცოვა, დევიცკის და... დიახ, დიახ... ყურადღებით მომისმინეთ! (ნახევარხმით) მეამბოხეებმა სასწავლებელი აიღეს და ლაზარეთს აწყობენ .. დიახ, დიახ... მთელი პასუხისმგებლობით!.. ჯერჯერობით ხუთი კაცია... გელოდებით, მხოლოდ ჩქარა!.. დიახ, დიახ, დაგელოდებით და, რასაკვირველია, თვითონ გაგიღებთ (სდებს ყურმილს).

(შემოდის დევიცკი. საშინლად აღელვებულია.)

დევიცკი (ჩურჩულით) ნადია! ნადია! როგორც იქნა გამოვეპარე! უნდა გავიქცეთ, გავიქცეთ, ვიდრე არ გაგვიგებენ! ვიდრე ვინმე გაიგებდეს, რომ აქ არიან, თორემ... (შეშფოთებული) დავი-

ღუპები (უთითებს ჭერზე) გესმის? მერხები და მაგიდები გამოაქვთ და საკაცეებს ალაგებენ...

**ოდინცოვა.** ულირსად გიჭირავს თავი, ევგენი! ნუთუ გინდა, რომ რუსეთს ეს ხეპრეები განაგებდნენ?

**დევიცკი.** მე სიცოცხლე მინდა! სიცოცხლე! გესმის! ეს არის და ეს.

**ოდინცოვა.** რას გაჰკივი ბნედიანივით! მე უკვე დავრეკე სადგურში. ახლავე მოვლენ ჟანდარმები.

**დევიცკი** (მუშტს მოკუმავს). შენ? შენ დამასმინე? (მიუახლოვდება).

**ოდინცოვა** (შეშინებული უკან იხევს). ევგენი!

**დევიცკი** (მუშტების ქნევით). ახლა სამსახურიდან დამითხოვენ, დამაპატიმრებენ!

**ოდინცოვა.** ლაჩარო! ლაჩარო! ოი, გული! (გულზე ხელს იჭერს).

**დევიცკი** (შორდება). არა! მე წავალ! წავალ! მე აქ არ ვყოფილვარ, მე არაფერი არ ვიცი! (აქეთ-იქით აწყდება).

(ოდინცოვა ჩანთიდან პატარა ბოთლს ამოიღებს, ბუფეტიდან ჭიქას გამოიღებს და წამალს ასხამს.)

**დევიცკი** (შეჰყურებს) ძვირფასეულობის შეგროვება მაინც მოგვესწრო (სასწრაფოდ გადის.)

**ოდინცოვა.** სულ შეიშალა (წამალს სვამს). ფანჯარაში ფრთხილად აკაკუნებენ. ისინი არიან! (წამალს პურს აყოლებს და შემოსასვლელ ოთახში გადის.)

(ერთხანს სცენა ცარიელია. შემდეგ კვლავ შემოდის ოდინცოვა. ისევ პურს ღეჭავს. მას ფეხდაფეხ შემოჰყვება ზუბრიკი, ძნელად გამოსაცნობი წლოვანების, საკმაოდ გაცვეთილი ლაბადით შემოსილი კაცი.)

**ზუბრიკი** (იძრობს ძველ ქუდს). „მანჟეტობთ?“.

**ოდინცოვა** (მოუტრიალდება) რაო?

**ზუბრიკი.** უკაცრავად „სჭამთ?“ გახსოვთ რას ნიშნავს ფრანგულად „მანჟე?“ გიმნაზიის მესამე კლასში 28 სიტყვა ვისწავლე. მეტი ვერ მივახერხე. გამრიცხეს.

**ოდინცოვა.** რატომა ხართ მარტო? და რატომ... (ზიზღით შეათვალიერებს ზუბრიკს)

**ზუბრიკი.** ოჰ, ქალბატონო, ჩვენ მუდამ სამოქალაქო ტანისამოსს ვამჯობინებთ. ფორმა უხერხულია, ერთიც ვნახოთ, ჩაგაფარეს თავში. და საიქიოში მიხვდი. მოგეხსენებათ ჩვენ არც დედამიწაზე ვგრძნობთ თავს ცუდად. პარდონ. (თავს მაღლა სწევს. ყურს მიუგდებს) ნამდვილად რაღაცა გადააქვთ... ბატონი დევიცკი სადღაა?



**ოდინცოვა.** თავის კაბინეტში.

**ზუბრიკი.** კეთილი. კეთილი! (მეზობელ ოთახში კარს შეაღებს და შეიხედავს.) ფანჯარა, როგორც ჩანს, ბაღს გადაჰყურებს. მშვენიერია (გადის).

**ოდინცოვა.** არაფერი მესმის... (კარებიდან) რატომ ხსნით ჩარჩოებს?

(მოკლე პაუზა. ზუბრიკი ბრუნდება.)

**ზუბრიკი.** რა სუსტი საგოზავია! ერთი გამოვქაჩე და მორჩა.

(უცებ შორიდან მოისმის ზარბაზნის გასროლა; სროლა გრძელდება სცენაზე ეგნატეს გამოჩენამდე.)

**ოდინცოვა** (დაბნეული). არტილერია ისვრის?

**ზუბრიკი** (საათს დახედავს). სწორი ბრძანებაა, ქალბატონო. მაგრამ ნუ გეშინიათ. შორს არის, ლობკოვსკის შესახვევთან. ფიდლერის სახლში მოწყობილ ბუდეს ვუნგრევთ.

(შემორბის დევიცკი. ხელში პატარა სამგზავრო ჩანთა, პალტო და ქუდი უკავია).

**დევიცკი** (კარებში). გაიგონე? (დაინახავს ზუბრიკს) თქვენ ვინა ხართ?

**ზუბრიკი.** მე?.. ზუბრიკი, თქვენო კეთილშობილებავ, თანამდებობით – აგენტი ასე ვთქვათ... დავალებით.

**დევიცკი** (აღგზნებულია). საფუძველი არა გაქვთ დამაპატიმროთ! არა! მე დამნაშავე არა ვარ!

**ზუბრიკი.** თქვენ ნუ ღელავთ, თქვენო კეთილშობილებავ, თითსაც არ დაგაკარებთ. არც გვიფიქრია. ამ სახლს კი, ბოდიში, მაგრამ დავცხრილავთ ზარბაზნებით.

**დევიცკი.** როგორ? ამ სახლს? ზარბაზნებით?

**ზუბრიკი.** რას იზამთ, ასეთი წესი გახლავთ. ყველა სახლს, სადაც კი მეამბოხეები აღმოჩნდებიან, ვცხრილავთ. მისმა აღმატებულებამ, გენერალ გუბერნატორმა დუბასოვმა ბრძანა ასე.

**დევიცკი.** მერე ეს ყველაფერი. (ოთახს თვალს შეავლებს)

**ზუბრიკი.** შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ (ხელებს შლის)... ხოლო რომ ვერც ერთი (ჭერზე უთითებს) ვერ გაგვექცეს ალყას ვარტყამთ. სახლში ვინც შემოვა, შემობრძანდეს, მოხარული ვიქნებით. რაც მეტი ნადირი დაგროვდება, ამით უკეთესია. სახლიდან კი მხოლოდ ჩემთან ერთად შეიძლება გასვლა, ისიც ფანჯრიდან. მარტო ჩემთვის ცნობილი მარშრუტით. კაცმა რომ თქვას, სწორედ თქვენთვის ვარ გამოგზავნილი.

დევიცკი (ისევ ოთახს ათვალიერებს). ყველაფერი... ყველაფერი დაიღუპება?..

ზუბრიკი. შეიძლება ყველაფერი არ დაიღუპოს იმიტომ რომ მხოლოდ ერთი-ორჯერ ვისროლეთ, მეტს არა. ასე ვთქვათ, დასაშინებლად, რომ დაგვეშინებინეთ... ჩვენ მათი ცოცხლად დაჭერა გვაინტერესებს... კვანძი უფრო ადვილად გაიხსნება.

დევიცკი (არ უსმენს). ჰო! პასპორტი! საბუთები (სწრაფად გადის).

ზუბრიკი. კიდევ ვინმე გყავთ ოჯახში?

ოდინცოვა. ძმისშვილი — ქალიშვილი! მაგრამ ისეთი საზიზღარია, შეიძლება ხმაური ატეხოს.

ზუბრიკი. ეგ არაფერი, პირს ავუკრავთ.

ოდინცოვა. მთავარი ის არის, რომ თავის ოთახში ჩაიკეტა. აი, იქ...

ზუბრიკი. ეს კი არ ვარგა... (ჩაფიქრდება)

ოდინცოვა. მოითმინეთ... მგონი გამოვიტყუოთ... უთხარით, რომ ფროლოვმა გამოგზავნათ (კარზე უჩვენებს) იქიდან.

ზუბრიკი. აა!.. გასაგებია. ასე მოვიქცევი. გთხოვთ: სწრაფად მოემზადეთ!

ოდინცოვა (შემოსასვლელ ოთახში გადის. შემოხვდება დევიცკი, რომელსაც ხელში პატარა ფუთა უჭირავს.)

დევიცკი. მზადყოფნაში იქონიეთ, სამნი ვართ.

ზუბრიკი. ნუ ღელავთ, ვიცი. მაგრამ პირველად მარტო ქალბატონს და ქალიშვილს წავიყვან. თქვენ მერე.

დევიცკი. როგორ თუ მერე? რატომ მერე?

ზუბრიკი. რომ ისინი, მაღლა მყოფნი, არ დავაფრთხოთ. რომ გაიგონ აქ არავინ არისო... გასასვლელები კი, ჯერ ყველა არ ჩაგვიკეტავს. მაგრამ თქვენ ნუ ღელავთ, არ დავყოვნდებით. ქალებს წავიყვან, ალყის ამბავს გავიგებ და დავბრუნდები. თქვენ კი ამასობაში ისე უნდა მოიქცეთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა და აქ არავინ ყოფილა.

დევიცკი (აღშფოთებული). იცით ამას რა დაერქმევა? მერე? გყოფნით გამბედაობა?

ზუბრიკი. მაშინ არაფერზე არ ვაგებ პასუხს. შეიძლება ზევიდან ყუმბარაც...

დევიცკი (შეკრთება). არა, არა!

ზუბრიკი. მაშ ასე. გასაგებია?



(შემოდის ოდინცოვა, მოაქვს ორი ქურქი და ბოტები)

(ოდინცოვას) მიბოძეთ, მოგეშველებით (ართმევს ქურქებს. დევიცკის) ნახვამდის. მალე გეახლებით.

(ზუბრიკი და ოდინცოვა მეზობელ ოთახში გადიან და კარს ხურავენ.)

დევიცკი. ღმერთო ჩემო!.. განა მე ვარ დამნაშავე? ღმერთმა იცის, რომ არა!

(სცენის იქით ხმაური, ჩოჩქოლი. ისმის ნატუსიას ხმა: „დამაწებეთ თავი! გამიშვით!" ხმაურით ეცემა რაღაც საგანი, ეცემა სკამი. იღება მეზობელი ოთახის კარი და შემორბის ნატუსია. ზუბრიკის ხმა „დაიჭირეთ".)

ნატუსია. (შემოსასვლელისაკენ გარბის) ეგნატე, ეგნატე!

დევიცკი (დაიჭერს). გაჩუმდი!

ნატუსია. ეგნატე! (დევიცკი პირზე ხელს აფარებს, შემორბიან ზუბრიკი და ოდინცოვა. ზუბრიკს ხელში ცხვირსახოცი უჭირავს.)

ზუბრიკი. ნება მიბოძეთ! მე ავუკრავ!

(ოდინცოვა ოდნავ შეაღებს შემოსასვლელში გამავალ კარებს. დევიცკი ხელს აშორებს ნატუსიას პირს)

ნატუსია (იბრძვის). ეს უსინდისობაა! უსინდისობაა! უსინდისობაა!

დევიცკი. მე შენ გეუბნები გაჩუმდი-მეთქი!

ნატუსია (თავს აქნევს და ზუბრიკს საშუალებას არ აძლევს პირი აუკრას. დევიცკის) სულერთია მაინც წავალ შენგან! სულ ერთია! უცხო ხარ ჩემთვის. უცხო, შენთან ცხოვრება აღარ მინდა, აღარ მინდა! აღარ დავრჩები! მეზიზღებით. ყველა, ყველა მეზიზღებით!

დევიცკი (ნატუსიას). თუ ღმერთი გწამს, ნატუსია!

ნატუსია (ყვირის). ეგნატე!

ზუბრიკი (კაგრად უკრავს ნატუსიას პირს ცხვირსახოცით). აი ასე! (ოდინცოვას) ჩქარა, ქალბატონო (მიათრევს ნატუსიას, რომელიც მთელი ღონით უძალიანდება.

ოდინცოვა მიჰყვება. სამივე თვალს მიეფარება, დევიცკი თავჩაქინდრული დგას. მეზობელი ოთახიდან გაურკვეველი ხმაური მოისმის. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდება).

დევიცკი (თავს ასწევს). წავიდნენ... (სამგზავრო ჩანთა, პალტო, ქუდი, ფუთა გააქვს მეზობელ ოთახში და ბრუნდება. ერთ წუთს ჩაფიქრებული დგას, მერე სწრაფად აღებს ბუფეტის უჯრას და იქიდან ხელსაწყენდებსა და პირსახოცებს იღებს.)

(შემოდის ეგნატე)

ეგნატე. როგორ გავიგოთ, ევგენი პავლეს ძევ? სიტყვა მომეცით სამასწავლებლოში დაგიცდით და თვითონ კი...

დევიცკი. ფორმალურად რომ მივუდგეთ მე, რასაკვირველია, გავტეხე სიტყვა და ვნანობ! მაგრამ აი... (უჩვენებს მაგიდაზე გადმოწყობილ პირსაიოცებსა და ხელსაწმენდებს) აი, რატომ გავტეხე სიტყვა, მე მგონი გამოგადგებათ შესახვევად.

ეგნატე (ყურადღებით უყურებს დევიცკის). ხელსახოცებისათვის წამოხვედით?

დევიცკი. მივხვდი... რომ ბოლოს და ბოლოს მართალი არა ვარ... ადამიანობის საქმეა და უნდა დაგეხმაროთ.

ეგნატე (დაეჭვებული). ვითომ?

(შემორბის ანუშკა.)

ანუშკა (კარებში). ეგნატე! (ეგნატე მიუახლოვდება, ჩუმად ყურში) დავიდოვი მოვიდა და ის სტუდენტი.

ეგნატე. ზევით აიყვანე. უთხარი, რომ ახლავე მოვალ. (ანუშკა გარბის. დევიცკის) მაშ გთხოვთ ნატალია ვლადიმვრის ასულს დამიძახოთ. ძალიან მჭირდება. თუ სძინავს, გააღვიძეთ.

დევიცკი. ერთი წუთი. (ფრთხილად თითქოს ეშინია არავინ შეაწუხოსო. მეზობელი ოთახის კარს აღებს და გადის).

ეგნატე (თვალს გააყოლებს) უცნაურია... (პაუზა) სულერთია, დავიდოვთან წავიყვან.

(შემოდის დევიცკი. ხელში ფროლოვის მიერ მოტანილი ბოთლი და ბოხჩა უჭირავს.)

დევიცკი. ნატუსია იცვამს და ახლავე გამოვა. ჯერჯერობით კი მთხოვა ეს ინვენტარი გადმომეცა შენთვის. მითხრა, ახლა უკვე ალარაფერია დასამალიო (ბოთლებს მაგიდაზე დგამს).

ეგნატე. დიახ, კარგი! მოიტათ!

დევიცკი (უწვდის ბინტსა და ბამბის ბოხჩას). სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცოდი, თუ თქვენს შორის კონტაქტი არსებობდა.

ეგნატე. ზემოთ წამობრძანდით.

დევიცკი. კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?..

ეგნატე. ხომ გინდოდათ დაგვხმარებოდით.

დევიცკი. ჰო, ის... დიახ, მაგრამ კიდევ რამეს წამოვიღებ... შენ წადი.

ეგნატე (თვალს თვალში გაუყრის). რა, კუკუმალულობიას მეთამაშებით?



დევიცკი. არ მესმის, რას ამბობთ.

(იღება მეზობელი ოთახის კარი და გამოჩნდება ზუბრიკი. რევოლვერიან ხელს ამართავს და ესვრის ეგნატეს, ეგნატე წაივლებს ხელს მარცხენა ხელზე.)

ზუბრიკი (უყვირის დევიცკის). გამომყევით!

(დევიცკი კარს ეცემა. ზუბრიკი და დევიცკი გადიან.)

(შემორბის ანუშკა.)

ანუშკა. იგნაშა! დაგჭრეს?!

(ქუჩაში, სულ ახლოს სროლის ხმა ისმის, სადღაც ფანჯრის მინები ჩაიმტვრა.)

ეგნატე (აჩქარებული იხდის ქურთუკს). ჩქარა სინათლე ჩააქრე! ჩააქრე!

(ანუშკა სანთლებს ჩააქრობს. ოთახს მხოლოდ მთვარის შუქიღა ანათებს.)

ანუშკა. მომე, შეგიხვევ! (მარლას იღებს)

ეგნატე. მე თვითონ! გაიქეცი ზევით გააფრთხილე!

(შემორბის ფროლოვი.)

ფროლოვი. დავიდოვი კითხულობს, რატომ ისროლეო (დაინახავს, რომ ეგნატე დაჭრილია) შენ გესროლეს? შენ? შვილო...

ანუშკა (ეგნატეს). დამაცადე! (პერანგის მარცხენა სახელოს აუწევს და ჭრილობას უხვევს.)

ეგნატე. დევიცკიმ გაგვცა! უნდა წავიდეთ! ყველანი, ყველანი, სასწრაფოდ! უთხარი დავიდოვს!

ფროლოვი. ამ წუთში (გარბის).

ანუშკა (ამაგრებს ბინტს). აქ ვემსახურებოდი და მეგონა — კეთილი იყო „პატიოსანი"... ის კი... ეტყობა ყველა ამ „პატიოსან" ადამიანებს სწორედ პატიოსნება არ ჰყოფნით... რატომ არ კვნესი, გენაცვალე?

ეგნატე (სახელოს ჩამოიწევს), ქურთუკი მომეცი!

ანუშკა (ჩაცმაში ეხმარება). ნელა! ტკივილისა მეშინია.

ეგნატე (ალერსით შეხედავს. ღიმილით). შენც გტკივა?

ანუშკა. მეც.

ეგნატე (მეზობელი ოთახის კარს გააღებს). ფანჯარა ღიაა... გაქცეულან. ეტყობა ნატუსიაც წაათრიეს ძალით... აბა, ჩქარა წავიდეთ უკანა კარიდან!

(შემორბის ფროლოვი.)

ფროლოვი. დავიღუპეთ, ეგნატე, მორჩა! ზოგი ერთ მხარეს აპირებდა გაქცევას, ზოგი მეორეს, მაგრამ ალყაშემორტყმული ვართ. გარშემო ჟანდარმები, დრაგუნები, პოლიციელები არიან. მერე სახლი ღია ადგილზე დგას, სახურავებითაც ვერ გავალთ. თან გასასვლელები ჩაკეტილია. გაიხედე ფანჯარაში! ხედავ?

ეგნატე (იხედება შორიდან ფანჯარაში). ჰო... ვხედავ... მაშ ბრძოლა მოგვიხდება?

ფროლოვი. დავიდოვმა უკვე ორ-ორად დააწყო მაღლა ჩვენები. მე და შენ კი აქ დარჩენა გვიბრძანა.

ეგნატე. რას იზამ... ადვილად კი არ დავნებდებით... შენა, ანიუტა... შენ—აქ არაფერი გესაქმება... სარდაფში ჩადი, იქნებ გადარჩე.

ანუშკა (დაბნეული). თქვენ?

ეგნატე. წადი, წადი!

ანუშკა (გაუბედავად გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, მერე მკვეთრად მოტრიალდება). არა, არ შემიძლია! (ეგნატესთან მიიჭრება) მეც თქვენთან ვიქნები!

ფროლოვი. ანიუტა!

ანუშკა. არ წავალ!

ფროლოვი. გააგდე, ეგნატე!

ეგნატე (ანუშკას). ყუმბარის გასროლას შესძლებ?

ანუშკა (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ). მეშინია...

ფროლოვი. წადი, ანიუტა.

ანუშკა (ეგნატეს). შევძლებ, შევძლებ! ჩემი ძმის გულისათვის! შენთვის! ყველასათვის!

ეგნატე (შეხედავს ანუშკას, ჯიბიდან ორ მრგვალ ყუმბარას ამოიღებს) აი „მაკენდონკები“ აიღე! (ფროლოვს) შენ კი, მამი,—აი, რევოლვერი ამოიღე მარცხენა ჯიბიდან. (ფროლოვი ეგნატეს ქურთუკის ჯიბიდან რევოლვერს იღებს) პირდაპირ ესროლე, შესძლებ?

ფროლოვი. ოდესღაც მისროლია.

ეგნატე (მეორე რევოლვერს იღებს.). შენ ამ ფანჯარას უთვალთვალე მე და ანიუტა იმას, ღია რომ არის (გაღებული კარისაკენ უთითებს) იქიდან უფრო შეიძლება დაგვეცნენ. დადექით (ანიუტა და ფროლოვი გვერდზე ამოუდგებიან ეგნატეს.) და ელოდეთ...

(პაუზა. დაძაბული სიჩუმე.)

ფროლოვი. ჯერჯერობით არავინ ჩანს.

ანუშკა. არც ჩვენთან.

ფროლოვი. უცნაური სიტყვაა „თვითმპყრობელობა“. ისე გამოდის, თითქოს მეფეს ეს საზრუნავი აქვს: თვით იყოს მპყრობელი თავისი ტახტისა...

(ისევ პაუზა)



ანუშკა. როგორი სიჩუმეა...

ფროლოვი (ამოიოხრებს). გაუჭირდება კი ჩემს დედაკაცს ბავშვიანად. (ისმის ქვემეხის გამაყრუებელი სროლა და იმ წუთში უფრო გამაყრუებელი აფეთქების ხმაური. ფროლოვი შეკრთება, ანუშკა ეგნატეს სტაცებს ხელს.) შეხედე ზარბაზნებს ისვრიან...

ეგნატე. დაწყნარდით... დაწყნარდით, რა მოგივიდათ?

ანუშკა. მე არაფერი, არაფერი იგნაშა...

ეგნატე (ორივეს შეხედავს). აბა... ჩუმად... ერთად. (დაძაბული იყურება წინ. ნახევარი ხმით წამოიწყებს).

„შავი ღრუბლები თავს გვევლებიან
მხეცური ძალით გვიხრიან ქედს“.

ანუშკა (ოდნავ გასაგონად აჰყვება)

„მაგრამ გავშალეთ ბრძოლისთვის მკლავი
და უფრო მწარეს ველით ჩვენს ხვედრსა“

(პატარა პაუზა.)

სამივე (დაბალი ხმით, ისე, რომ ფანჯარას თვალს არ აშორებენ)

„წმინდა საქმისთვის, მთელი ქვეყნისთვის
გამოვალთ ერთად ჩვენ დასაცველად.
მაშ, ძმებო, აბა, გავსწიოთ წინა!
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა.“

(მეორედ ისმის ქვემეხების გრიალი და აფეთქების ხმაური.)

ფროლოვი. შეხედე! ნუთუ ყველაფერი გათავდება, შვილო?

ეგნატე. ეს მხოლოდ დასაწყისია, მამაჩემო! დასაწყისი!

ანუშკა. იგნაშა, შეხედე!

(სცენის სიღრმიდან „დაგვრჩებდით!“)

ეგნატე. რევოლუციისათვის (ისვრის).

(ანუშკა მთელი ძალით სტყორცნის „მაკედონკას“ გაღებულ კარებში. ყუმბარა აფეთქდება. ისმის საპასუხო სროლის ხმა.)

ფარდა